№ 103

სამშაბათი, 19 მაისი, 1898 წ.

1877 — 1898

# ივერია

№ 103

სამშაბათი, 19 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ნინო ნანეიშვილისა შვილებითურთ** აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ქმრისა, ხოლო მეორენი მამისას

**გიგო ნანეიშვილისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ დღეს, 19 მაისს, დილის 9 საათზედ გვამის განსვენებაზედ გრიბოედოვის ქუჩიდგან, მუნთოევის სახლი, კალოუბნის ეკლესიაში, ხოლო იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ.

(1—6.—1)

# საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს

თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10-ს საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე.

ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

ქუთაისის ქალაქის სამმართველო ამით აცნობებს საყოველთაოდ, რომ არჩევა ხმოსნებისა ქუთაისის ქალაქის საბჭოსი ოთხის წლით **1898—1902** წწ. დანიშნულია **14** ივნისს ამა წლისა; მიღება კანდიდატების სიისა შეიძლება **18** მაისიდგან **3** ივნისამდე ყოველ დღე, გარდა უქმე და სახელმწიფო დღეებისა, **9** საათიდგან დილით ვიდრე შუადღის **2** საათამდის.

(3—6.—2).

განსაკუთრებული კომისია,

რომელმაც 1897 წ. 24 მარტს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენის თანახმად, **საკომლო გარდასახადის მაგიერ უძრავ ქონების კვალობაზედ უნდა გაეწეროს სახელმწიფო გარდასახადი ქალაქ ტფილისში,** ამითი აცხადებს იმ მემამულეთა და დაწესებულებათა საცნობელად, რომელთა მამულსაც უნდა დაედოს ეს გარდასახადი, რომ:

1) გაწერვა გარდასახადისა და ამ გარდასახადის შესაკრებად საჭირო ხარჯისა, რომელიც დანიშნულია ამ 1898 წლისათვის, სახელდობრ პირველის 119,175 მან. და მეორესი 2,800 მან., უკვე დამთავრებულ იქმნა და ნუსხა გამოფენილია მსურველთა დასათვალიერებლად კომისიის კანცელარიაში, ტფილისის სახელმწიფო პალატის სადგურში, სადაც მემამულეთ შეუძლიანთ მიიღონ საჭირო განმარტება კომისიის თავმჯდომარისაგან;

2) კომისიის მიერ გაწერილ გარდასახადზედ მამულების პატრონთ ერთის თვის განმავლობაში, ამ განცხადების „გაზ. კავკასში“ დაბეჭდვის დღიდგან, ესე იგი 12 მაისიდგან, შეუძლიანთ თავიანთი აზრი წარმოუდგინონ კომისიას და იმათ, რომელნიც ამ აზრის წარმოდგენის შემდეგ კომისიის მიერ დადგენილ განაჩენით უკმაყოფილონი იქმნებიან, შეუძლიანთ კომისიისავე ხელით საჩივარი წარუდგინონ საგუბერნიო სამმართველოს და ამასთან არც ქალალდი უკმაყოფილების განცხადებისა და არც საჩივარი არ ექვემდებარება სალერბო გარდასახადს.

იმათ, რომელთაც საჭირო ცნობების შეტყობა სურთ, თან უნდა ჰქონდეთ ის №№, რა ნომრითაც არის აღნიშნული იმათი მამული საქალაქო აღწერილობით.

განსაკუთრებულ კომისიის თავმჯდომარე ზირე. (1—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის $11^{1}/_{2}$— 12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. შროტასხევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ვ. მ. მახვილაძე.** — 5 — 6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** — $6^{1}/_{2}$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი** - 6 — 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო** — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(წ)

ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 56.

(50—80—16).

### ყოვლად უსამღვდელოესის გურია - სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს გამოთხოვება სამღვდელოებასა და სამწყსოსთან.

როგორც ვუწყით, უპატივცემულესი გორის ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე გარდაყვანილ იქმნა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსად, ხოლო იმის ადგილას დაინიშნა ახლად ეპისკოპოსად ხელდასხმული მ. ლეონიდე. კვირას, 17 მაისს, სიონის საკრებულო საკათედრო ტაძარში ტფილისის სამღვდელოება და ქართველი სამწყსო გამოეთხოვა ჩვენს მხცოვანს ეპისკოპოსს და პარაკლისიც იქმნა გარდახდილი მისის ფოთში გამგზავრებისა გამო. მწირველად ჰბრძანდებოდა ეპისკოპოსი ლეონიდე მთელის ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით.

წირვისა და პარაკლისის გარდახდის შემდეგ, რომლის დროსაც მრავალ ჟამიერი იყო თქმული ეპისკოპოსის ალექსანდრეს სადღეგრძელოდ, თვით ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე გამობრძანდა საკურთხევლიდგან მანტიით და სამჯერ გადასწერა პირჯვარი სიონის ტაძარში მრავლად დამსწრე ქართველს სამწყსოს. აქვე სიონის საკრებულო ტაძრის კანდელაკმა, მღ. ანტონ თოთიბაძემ ტფილისის ქალაქის სამღვდელოების სახელით შემდეგი სიტყვა სთქვა რუსულს ენაზედ:

„უმაღლესის ნების თანახმად, ამ დღედგან ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მოგეცათ უფრო უდიდესი ადგილი სამღვდელმთავროდ. სწორედ 36 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მწყემსთ-მთავრის ხარისხში ჰმოღვაწეობთ მშობელ ქართულ ეკლესიის სასარგებლოდ, და ამ ხნის განმავლობაში საქართველოს საექსარხოსოს სამწყსოში ისეთი ჩინებული და ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგით, რომელსაც ვერ შეჰმუსრავს ვერავითარი ძალა მტრისა.

„ქ. ტფილისის სამღვდელოება და სასულიერო უწყებაში მოსამსახურენი, რომელნიც უმახლობელესნი მოწმენი იყვნენ თქვენის მწყემსთ-მთავრულის მოღვაწეობისა, გეთხოვებიან რა დღეს, სიყვარულით მოაქცევენ ყურადღებასა თვისსა მართლ-მადიდებელ მწყემსთა შორის თქვენსა ნათელსა და ბრწყინვალე სახესა ზედა. მთელი თქვენი ძალ-ღონე სიყრმიდგან მხცოვანებამდე მონდომებული ჰქონდა მშობელს ეკლესიას, რომელიც მხურვალედ გიყვარდათ. ხოლო ეხლა არც დროა და არცა ადგილი ჩამოვთვალოთ ყოველი თქვენი მწყემსთ-მთავრული ღვაწლი ეკლესიისა და სამშობლოს სასარგებლოდ, მოვიხსენიებთ მხოლოდ იმას, რის მოწმენიცა ვართ ყველა აქ მყოფნი. მხურვალე მონაწილეობას იღებდით დაბადების ქართულს ენაზედ გამოცემის საქმეში, ღრმად იყავით რა დარწმუნებული, რომ ყოველი ჭეშმარიტი საფუძველი კეთილის ზნეობისა ქრისტიანეს შეუძლიან შეითვისოს ამა, მუდმივ ცხოვრების წიგნიდგან. იცოდით რა, რომ დაბადების შემდეგ ერის უმთავრესი მასწავლებელი მართლ მადიდებელ-ქრისტიანებრივი ღვთის მსახურებაა, კეთილკრძალულებითა და კეთილ წესიერად გარდახდილი მშობლიურს ენაზედ,— თქვენ ბევრი ზრუნვა-მეცადინეობა და ქონებრივი საშუალება შესწირეთ რათა ქართულ საეკლესიო საგალობელთა სამშობლო ხმა არა დაკარგულიყო ერის ხსოვნაში, არამედ დასტამბულიყო და დაცულიყო მთლად და შეუბღალველად შემდეგთა მოდგმათათვის.

„გიყვარდათ რა საეკლესიო მწიგნობრობა, ძველთა ქართულ საეკლესიო მწიგნობრობის სახსოვართა გამოცემით ძვირფასი განძი შესძინეთ ქართულს საეკლესიო ლიტერატურას.

„თქვენი რუდუნი არა მოჰკლებია ქართველ მართლ-მადიდებლობის ძველთა სახსოვართაც—ტაძრებსა და მონასტრებს, რომელნიც თქვენს მწყემსთ-მთავრულს ზრუნვასა ჰქონდა რწმუნებული. არა ნაკლები ყურადღება მიაქციეთ ახალის თაობის სასულიერო განათლებას, რისთვისაც ვაჟთა და ქალთა სასულიერო სასწავლებლებში სტიპენდიები დააარსეთ და დიდ ძალს ფულს სწირავდით. თქვენმა ამ გვარმა ზრუნვამ, რათა მოზარდი თაობა სარწმუნოებისა და ეკლესიის აზრისამებრ ყოფილიყო აღზრდილი, თავი იჩინა აბხაზეთშიაც, სადაც თქვენის მცირე საშუალებით მთელს პანსიონს ინახავდით და თქვენვე ჰმასწავლებლობდით ბავშვებს.

„ყოველ ამა გარეგანს განცხადებას თქვენის მწყემსთ მთავრულის მოღვაწეობისას აცისკროვნებს თქვენი პიროვნება, ღრმად განმსჭვალული ქრისტიანებრივის ყოველ სათნო თვისებითა, რაიცა ჩვენსა გულში აღორძინებს სიყვარულსა და ერთგულებასა თქვენდა მიმართ.

„ტფილისის სამღვდელოება და სასულიერო უწყებაში მოსამსახურენი, დიდად აფასებენ რა თქვენს სინაყოფიერესა, ხანგრძლივსა მწყემსთ-მთავრულს მოღვაწეობასა ეკლესიისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ, მოგილოცავენ, კეთილო მწყემსო, ახალს თანამდებობაზედ დანიშვნასა და ევედრებიან უზენაესსა, რათა მანმცა, ყოვლად მოწყალემ, არა მოგაკლოთ თვისი წყალობა მრავალსა და კვლავ მრავალს წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში თქვენის ახალ სამსახურის ასპარეზსა ზედა.

„წარვედ, მეუფეო, ახალსა სამწყსოში, რომელიც განსაკუთრებულის სიყვარულითა და მოუთმენლობით მიგელის და რომელსაც დიდად და დიდად სჭირია შენი მამობრივი ზრუნვა, უანგარო მმართვა და თვით შენი თავიც, ვითარცა სახარების მოძღვრებათა აღმასრულებელისა. წარვედ ახალის ძალ-ღონითა და მხნეობით, ვინაიდგან იქ სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად მცირე.

„ლოცვათა შინა ჩვენთა მოსაგონებლადა და სახსოვრად მიიღეთ, თქვენო უსამღვდელოესობაო, ქ. ტფილისის სამღვდელოებისა და სასულიერო უწყებაში მყოფ მოსამსახურეთაგან ესე ხატი ივერიის ღვთისმშობლისა, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება მფარველი თქვენი თქვენსა ყოვლად ძნელსა მწყემსთმთავრულსა სამსახურსა შინა“.

ხატის მირთმევის შემდეგ გულამომჯდარმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ რუსულადვე მადლობა გარდაუხადა და სთხოვა, ერთგულნი იყავით სარწმუნოებისა, გიყვარდეთ ღმერთი, ხელმწიფე და ეკლესია, ჰმორჩილებდეთ უფროსთა თქვენთაო. ამ დროს ბევრს ცრემლი წასქდა როგორც სამღვდელოს, ისე საერო კაცს. იმოდენი ხალხი შემოეხვია საყვარელს მწყემსთ-მთავარს და დიდის სიყვარულითა და სასოებით ემთხვეოდნენ ხელზედ, კალთებზედ, და იგიც გულმხურვალედ აკურთხებდა თვისთა სულიერთა შვილთა.

შემდეგ ქართველის საზოგადოების სხვა-და-სხვა დაწესებულებათა დ ჟურ-

ნალ-გაზეთების წარმომადგენლები შეიკრიბნენ თვით ყოვლად უსამღვდელოესის სადგომში, სიონის ეზოშივე. სხვათა შორის იყვნენ კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, პატივცემული გენერალი მამაცაშვილი და მრავალნი სხვანი. აქ ქართველმა სამწყსომ მისს მეუფებას ოქროში დაფერილი ვერცხლის კვერთხი მიართვა და თავ. ილია ჭავჭავაძემ შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ!

„მე ვბედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას დღევანდელ დღეს არა იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქება-დიდებას ჰსაჭიროებდეთ. თქვენი საქმენი, თქვენი ღვაწლ-მოსილი სიცოცხლე ჩემზე უკეთესად ჰღაღადებს თქვენს ქებასა და დიდებასა და ჩემი თქმა არას მოუმატებს თქვენს სათნოებით მოპოებულს სახელსა.

„ნამეტანობაში ნუ ჩამომართმევთ და გულით წმინდით ვიტყვი, რომ სჩანს ღმერთს კიდევ არ დავუვიწყებივართ, რადგანაც თქვენისთანა სათნოებიან კაცს მოუვლენს ხოლმე ჩვენს ქვეყანასა და რაკი თქვენისთანაებსა ვხედავთ, გულს კვლავ ერჩის წუთის-სოფლისაგან ლონე მიხდილი სასოება და წუთისოფლისაგანვე გამქრალი იმედი უკეთესის დღეებისა. ულონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ, უფრო ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ-მომქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამადიდებელი, ქვით-კირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთის სოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს.

„თქვენის ცხოვრების წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა. ღმერთს ღმრთისას აძლევდით, ქვეყანას ქვეყნისას და ორსავ ემსახურებოდით ერთმანეთის დაუკლისად გულმხურვალებით და სიყვარულითა. ერთი წუთიც არ ვიცი თქვენის სიცოცხლისა, რომ ცხოველმყოფელი შუქი ამ ორკეც სიყვარულისა არ მიჰფენოდეს თვითეულს თქვენს საქმეს, თვითეულს თქვენს მოქმედებას. ქვეყანას ემსახურებოდით ღმრთისათვის და ღმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რადგანაც ღმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა.

„თქვენი სიცოცხლე მთელი და განუწვეტელი სათნოებაა, სათნოება, რომლის მაგალითს მარტო იმ მადლით ცხებულ მღვდელ-მონაზნების შორის ვპოულობთ, რომელნიც ერთს დროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ, აღარ არიან. თქვენ ხორცი დაუმორჩილეთ სულსა და ერთი უდიდესი სათნოებაც ეს არის. გშიოდათ და არა სჭამდით, გწყუროდათ და არა სვამდით, გციოდათ და არა თბებოდით იმისთვის კი არა, რომ ვითარცა ანგაარმა და ძუნწმა ვერცხლი და ოქრო მოიხვეჭოთ, არამედ იმისთვის, რომ რაც საკუთრად თქვენის თავისათვის არ გემეტებოდათ, რასაც თქვენს თავს აკლებდით, ის სხვას შეჰმატოთ, სამადლოდ, საქვეყნოდ გასცეთ, თქვენს სამშობლოს მოახმაროთ. მართალი უთქვამს, ვინცა სთქვა, რომ ორ ნაირი სათნოებაა ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი: ერთი უქმი, რომელსაც მოსდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველი მაგდენი ვერაფერი ღვაწლია. სადიდებელი კაცისა მეორე სათნოებაა და ამისთანა სათნოების პატრონი თქვენა ბრძანდებით.

„თქვენ აღგვიდგინეთ ჩვენნი დავიწყებულნი წმიდანნი შიო მღვიმელი და იოანნე ზედაზნელი. სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩემის ფიქრით კი კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილოდ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავ-დადებით. თქვენ გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი, მისი ხელთ-მძღვანელი და განმწმედელი მისი რჯული და სარწმუნოებაა და ამ გზაზე ღვაწლ მოსილობისათვის არა დაგიზოგიათ რა. ამისდა მოწმად თქვენ მიერ აღდგენილი მონასტრებია, ეს ნაშთნი ჩვენის სულიერად ზე-აღსვლობისა. აქ მეტია თვითეულის თქვენის ღვაწლის ჩამოთვლა და მარტო ამას ვიტყვი, რომ თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ, საცა-კი თქვენის ქვეყნის, თქვენის ერის საკეთილოდ საქმე რამ აჩენილა. არ არის არც ერთი საერთო საქველ-მოქმედო საქმე ქართველობისა, რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი ლოცვა-კურთხევა წინ არ უძღვოდეს, თავს არ დასტრიალებდეს.

„მარტო ისიც საკმარისია თქვენის სახელის მადლობით ხსენებისათვის, რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრიულ სიყვარულით გაუზარდეთ ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორიც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოზი ლეონიდეა. ჩვენ კაცებით ღარიბნი ვართ და ჩვენთვის თქვენგან გაზრდილი, თქვენის მაგალითით გაწურთვნილი, თქვენის სულისა და გულის თანამოზიარე განძია, საუნჯეა. ჩვენ შევხარით ჩვენს ახალს ეპისკოპოზს სასოებით და იმედითა, იმიტომ-რომ თქვენი გაზდილია, თქვენი სულიერი შვილია და ყოველი მზავსი მზგავსა ჰშობსო, ნათქვამია.

„თქვენს გაზდილს დიდი და ეკლიანი გზა უძევს წინ, თუ სიყვარულს ქვეყნისას თქვენებრ წინ წაიმძღვარებს და მსახურება მისი მსახურება იქმნება ქვეყნისა. ეს გზა გზაა საკუთარის თავის გაწირვისა, წამებისა, ნამეტნავად ჩვენში, საცა უმადურება და კილვა ისე ხშირია, როგორც არსად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი გაზდილი, თქვენი გაწურთვნილი არა ეკალს არ შეუშინდება და თქვენს მაგიერობას გაგვიწევს. მაგიერობას მეთქი!.. მომიტევეთ, გული კაცისა ხარბია: ჩვენ მეტი გვენატრება. ნუ თუ თქვენ თითონ არ ინებებთ, რომ თქვენის გაზდილისაგან მეტი მოვითხოვოთ, მეტი მოვილოდინოთ. თქვენ მამა ხართ და ეგ თქვენი შვილია. და რადგანაც ის ურჩევნია მამულსა რომ შვილი სჯობდეს მამასა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ თვითონ ჩვენზე უფრო მეტის ნატვრით ინატრებთ, რომ თქვენი გაზდილი თქვენ დაგემჯობინოთ ჯერ ღვთითა და მერე თქვენისავე კურთხევითა. ამისი, ამ ჩვენის კადნიერის რწმენის თავმდები და საბუთი თქვენი მამული-შვილური სიყვარულია, რომლის წინაშე ქედს იხრის ყოველივე სხვა პირადი გრძნობა პატიოსანის კაცისა.

„ჩვენო მართლადა საყვარელო და ღირს სახსოვარო მღვდელ-მთავარო! თქვენ აქედამ მიბრძანდებით, მაგრამ ღვთის მადლით, ჩვენის ქვეყნიდამ კი არა. იქაც ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი ერია, ჩვენი ძმები არიან. ჩვენ აქ გიახელით, რომ გზა მშვიდობისა მოგახსენოთ და თქვენს წინაშე ღმერთს ვთხოვოთ თქვენი დღეგრძელობა და თქვენგან ლოცვა კურთხევა მივიღოთ. მოგვირთმევია მცირეოდენი ძღვენი ესე ჩვენდა სახსოვრად კი არა. ჩვენ უამისოდაც გეხსომებით მთელს საქართველოსთან ერთად, რადგანაც შვილნი ვართ საქართველოსი, რომელსაც დღეთა თქვენთა სწირავთ ერთგულებითა და სიყვარულითა. მიიღეთ ნიშნად ჩვენის გულითადის მადლობისა და ულრმესის პატივისცემისა და გიხაროდენ, რომ შენის ქვეყნის შვილნი მოიწიფენ იმოდენად, რომ შეძლებისამებრ მადლობას უხდიან მადლობის ღირს კაცსა. გიხაროდენ, იმიტომ-რომ ესეც ერთი ფეხის წინ წადგმაა, ერთის საფეხურით ზე-აღსვლაა თქვენის ქვეყნის შვილებისა, რადგანაც მარტო ბრმამ და უკეთურმა არ იცის სხვის სიკეთის დანახვა, სხვის ღვაწლის დაფასება.

„თქვენ მიბრძანდებით ჩვენგან და ვწუხვართ, რომ ჩვენ გვშორდებით, მაგრამ ჩვენთა იმიერ ძმათა სიყვარული ანელებს ჩვენს მწუხარებას და გვამხნევებს ჩვენ. ჩვენგან მეტის-მეტი გულ-ძვირობა იქნებოდა, რომ ეს ასე არ იყოს. ჩვენ ვწუხვართ თქვენს წასვლას და გვიხარიან თქვენი იქ მისვლა. ჩვენ გვაკლდებით და, ღვთის მადლით, იქ შეემატებით. ყველგან ჩვენს ქვეყანაში საჭიროა იმისთანა კაცი, რომლის მიხედვით და მაგალითით იწურთვნება ხასიათი, იწმიდება გონება და გული ადამიანისა. უხაროდეთ მათ, საცა თქვენ მისდიხართ და ჩვენ ეს არა გვშურს, რადგანაც იქაც ჩვენები არიან. თუნდ ესეც არ იყოს, თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენებაც თქვენის სახელისა ჩვენი მწვრთნელია. ოჰ, რა ბედნიერია იგი კაცი, რომელიც გვწურთნის და გვასწავის ჩვენ არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თვისის სახელის ხსენებითაცაო, ამბობს ნატვრით ერთი ძველი ბრძენი. ამისთანა ბედნიერი ხართ თქვენ. იყვენით კვლავაც ესე ბედნიერ ჩვენდა თავ-მოსაწონებლად და ნუ მოაკლებ თქვენს ლოცვა-კურთხევას, თქვენს ღვაწლს თქვენს საყვარელს ერსა, თქვენს საყვარელს ქვეყანასა. საცა გინდ ბრძანდებოდე, აღიდე კვერთხი ესე და წარიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისასა და სათნოებისასა.

„დაგვლოცე და შენის მადლიანის ხელით გვაკურთხე შენნი მადლობელნი და შენ მიერ ღვაწლ-დებულნი".

მისმა მეუფებამ, მადლობა გარდაუხადა-რა, სთქვა, რომ წმიდად დაიცავით სარწმუნოება, არ უღალატოთ თქვენთა სახელოვანთა მამა-პაპათა ანდერძს, რომელთა შორის მრავალმა მეფემ, თავად აზნაურმა და მდაბიომ დაიდგა მოწამებრივი გვირგვინი სარწმუნოებისათვისაო. ზნეობით ფაქიზნი იყავით, ოჯახი წმიდად შეინახეთო. მე თუმცა შორს ვიქნები თქვენგან, მაგრამ გულითა და სულით არ დავივიწყებ ჩემს ძველს სამწყსოს და ვილოცებ მისის წარმატებისათვისაო.

ამ სიტყვათა წარმოთქმის დროსაც ბევრს ამოუჯდა გული და ცრემლით გამოეთხოვნენ საყვარელს მწყემსთ-მთავარს.

კვერთხი გამოწერილია ქართველ სამწყსოს მიერ მოსკოვიდგან და მეტად ძვირფასის, იშვიათის ნაკეთობისაა. მთელის კვერთხის ბუშტები საგანგებო ხელოვნების მინანქრითა და სევადით არის დამშვენებული. კვერთხს თან დართული აქვს პერანგი და ტარზედ აწერია: „აღიდე კვერთხი ესე და წარიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისასა. 15 მაისი 1898 წლისა". კვერთხის ბუდის თავზედ ამოჭრილია ქართულად ასო „ა.", რომელსაც თავზედ სამღვდელმთავრო მიტრა აქვს გაკეთებული.

გუშინ, ორშაბათს, 18 მაისს, მისი უსამღვდელოესობა გაემგზავრა ფოთისაკენ. რკინის გზის სადგურამდე დიდძალმა ქრთველობამ მიაცილა საყვარელი მწყემსთ-მთავარი, მრავალნი და მათ შორის ეპისკოპოსი ლეონიდე გორამდე გაჰყვნენ.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპოდენტისაგან)

**ფოთი**, 17 მაისი. დღეს ფოთმა დიდის ამბით გააცილა ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელიც მოსკოვში იქმნა გადაყვანილი. სამწყსომ მიართვა ყოვლად სამღვდელოს ადრესი და მასთან კვერთხი შემდეგის ზედ წარწერით: „პატივცემულ მღვდელმთავარს და უფლისა სიტყვითა მჭერმეტყველ მქადაგებელს".

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა—კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელეს, ეგერმეისტერს თავად მელიქიშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ქუთაისის გუბ. შორაპნის მაზრის მეორე ნაწილის მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელს, თავად დადიშკელიანს და ბათუმის ქალაქის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს მეფისაშვილს.

დანიშნულ იქმნენ დროებით კახის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად, შტაბსკაპიტანი გველესიანი—ზაქათალის ოლქის უფროსის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და ეჩმიაძინის მაზრის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი პორუჩიკი მანსვეტოვი—ზაქათალის ოლქის ჯახო-მუხახის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

### შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს:

ნატალია დავითის ასულმა ფიცხელაურისამ—მოსანათლავ ბავშვის სამოსელი.

ქუთაისიდგან: ფოტოგრაფიის პატრონმა ვ. კ. ცხომელიძემ—სურათები რუსთაველისა 17 და აკაკისა—11.

ქალაქ ერევანში ანნა ივანეს ასულის ზედგინიძის მიერ შეკრებილი ფულად:

ათი მანეთი—სირაჯმა გლეხმა ნიკოლოოზ სესიაშვილმა.

ხუთ ხუთი მანეთი: თავ. ივ. მ—ძე ჯამბ.-ორბელიანმა, თავ. ისიხე ნაკაშიძემ და ეგნატე პოლუმორდინოვმა.

სამ სამი მანეთი: კნ. იულია მიქელაძისამ, პელაგია სარაჯიშვილისამ, დეკ. ისააკ იორდანიშვილმა, ნიკოლოოზ სოკოლოვსკიმ, მიხეილ ზაალიშვილმა, ქრისტეფორე ჯიოშვილმა და კონსტანინე არდაზიანმა.

ორ-ორი მანეთი: მარიამ თებზაძისამ, ილია ქავთარაძემ, მიხეილ შალამოვმა, ვლადიმერ დავითაიამ და სიმონ კასრაძემ.

თითო მანეთი: ანნა კასრაძისამ, ოლღა ვარდიაშვილისამ, ნადეჟდა კასრაძისამ, ანნა ზედგინიძისამ, ბაბო და ანეტა ვარდიაშვილებმა, მღ. მ. ალექსი თებზაძემ, კ. შოთაძემ, ალექსანდრე დეკშევიჩმა, ვლადიმერ კასრაძემ, ივანე ზედგინიძემ და ალექსანდრე კოჰაშვილმა.

თოთხმეტი შაური: ქეთევან დაშკევიჩისამ.

ათ ათი შაური: თედო ბუჩუკურიმ და კირილე სარჯველაძემ.

ერთი აბაზი: მარიამ თანდოშვილისამ.

გარდა ამისა ოლგა და ნატალია იუსბაშევისამ—ორი პირსახოცი.

ფულად სულ 68 მან. 90 კაპ.

# ახალი ამბავი

⁂ დღეს, 19 მაისს, დილით ბათუმიდგან ტფილისს ჩამოვა გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი. ტფილისში დიდხანს არ დარჩება. ყარსის რკინის გზას დაათვალიერებს, ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელს და შემდეგ ბაქოში წავა.

⁂ ოფიციალურად მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, რომ „კავკასიის მთავარ-მართებელი პეტერბურგიდგან 20 მაისს აღარ წამოვა, როგორც განზრახული იყო, არამედ რამდენსამე დღეს კიდევ იქ დაჰყოფს.

⁂ მთავრობამ ნება დართო ქ. სოხუმში გამართულ იქმნას აბრეშუმეულობის გამოფენა.

⁂ პეტერბურგიდგან ცნობა მოვიდა, რომ სატარიფო კომიტეტი ამ დღეებში განიხილავს ხელ-ახლად ჭიათურის რკინის გზით შავის ქვის გარდასატან გარდასახადის შემცირების პროექტსაო.

⁂ ოზურგეთის ქალაქის მოურავი თავ. თავდგირიძე ცოტას ხანს კიდევ დაჰყოფს პეტერბურგში იმ საქმეების მალე და კეთილად დასამთავრებლად, რომლებიც აღძრა ოზურგეთის თვითმმართველობამ, სახელდობრ ოზურგეთში პროგიმნაზიის დაარსებისა და ოზურგეთიდგან სად. ნატანებამდის რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შესახებ.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინადადებისამებრ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის აწინდელის ყოფა-მდგომარეობისშესახებ მოსალაპარაკებლად დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია მეურნეობის მინისტრის რწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულის ი. ს. მედვედევის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრებად არიან: კავკასიის მთავარმართებლის რწმუნებული თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ქალაქის საბჭოს წარმომადგენელი ხმოსანი დ. ზ. ყორღანოვი და საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელი გ. დ. კოლჩევსკი.

*** 16 მაისს ახალ ქალაქს გაემგზავრა ოლქის სასამართლოს პირველი სისხლის განყოფილება, სადაც 23 მაისამდის დარჩება და შემდეგ გადავა ქ. ახალციხეში. ამ ქალაქში სესსია დაჰყოფს 28 მაისამდის.

*** გორის მაზრის სოფ. ქვარელის მცხოვრებელთ ნება დაერთოთ სარწყავი არხი გაიყვანონ ფურცელაძის მამულზედ.

*** ამ საზაფხულოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განზრახვა აქვს უქმეების წინა დღეებში ატაროს ორი საგანგებო საქალაქო მატარებელი ტფილისს და ბორჯომს შუა. ჩვეულებრივი მე 7 № მატარებელი გავა ტფილისიდგან ნაშუადღევის 2 საათ. 30 წუთ., ხოლო მეორე მატარებელი—ნაშუადღევის 3 სათზ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი კოლბასინი დანიშნულ იქმნა ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედაო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწე ი. ა. ლაზარენკო დანიშნულ იქმნა ოზურგეთის მაზრის უფროსად და ლაზარენკოს ადგილას აბაშის ბოქაული თავ. ვ. ს. აბაშიძე.

*** გაზ. „კავკასი“ სწერს: „ჩვენს რედაქციაში მოვიდნენ მეტივეები თავიანთის მამასახლისით და გამოგვიცხადეს: დიდი ხანია, რაც ქალაქმა ვერის ხიდს ზემოდ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ ორი ადგილი ალგვიჩინა, სადაც შეგვიძლიან ტივების გაჩერება. ქალაქი თითო ტივში 6 მანეთს გვახდევინებდა, ამასთან ჩვენთვის სულ ერთია, სად გავაჩერებთ ტივებს, პირველ ქალაქის ადგილზედ თუ მეორე ვილაც მაკაროვის ადგილზედ, რომელიც ქალაქს აქვს იჯარით აღებული და რომელშიაც ფულს აძლევს მაკაროვს. ამ ბოლოს დროს ეს წესი შეიცვალა. თუ ტივს მაკაროვის ადგილზედ გავაჩერებთ, ეს უკანასკნელი თითო ხეში 10 კაპ. გვართმევს, ხოლო ქალაქი ამავე ტივში ჩვეულებრივ ფასს 6 მანეთს. ამ რიგად ორნაირ გარდასახადს ვიხდით. ჩვენ საჩივარზედ ქალაქის მოხელემ მოგვიგო, თუ არ გინდათ, მაკაროვს ფული მისცეთ, ქალაქის ადგილზედ დააყენეთ ტივებიო. ეს ჩვენთვის ძალიან ძნელია, პირველი იმიტომ, რომ ქალაქის სატივოზედ ხშირად ადგილი არ არის და მეორე კიდევ—ხშირად ტივსაც ვერ შევიმაგრებთ ხოლმეო. მეტივეებს 13 მაისს გუბერნატორისათვის მიუმართნიათ საჩივარით, რომელსაც უთქვამს, რომ თქვენს საჩივარს განვიხილავ და უკანონოდ აღებულ ფულს დაგიბრუნებთო, მანამდის-კი ნურც მაკაროვს და ნურც ქალაქს ნურაფერს მისცემთო. ამის მიუხედავად მაკაროვისა და ქალაქის აგენტები ავიწროებენ მეტივეთ და ხშირად ორთაყვირებსაც-კი ართმევენო“.

*** სოფ. ძონძირი, (სენაკის მაზრა). ამ თვის პირველ რიცხვებში სოფ. ძონძირში ერთი არა-ჩვეულებრივი და სამწუხარო ამბავი მოხდა. ამავე სოფლის ერთს ღრმად მოხუცებულს კაცს მისმა შვილმა თავში წალდის ყუა დაჰკრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. საწყალი მოხუცებული კაცი იმავე წამს უსულოდ მიწაზედ დაეცა. საბრალოს ისე მაგრად ჰქონია დარტყმული, რომ მაშინვე პირიდგან სისხლის ღებინება დააწყებინებინა. იქამდის არ შესწყდა სისხლის დენა, ვიდრე არ მიიცვალა. თავი ისე გასიებოდა, რომ კაცი ვერ იცნობდა, ადამიანი იყო თუ არა. საბრალოს რის ტანჯვა-წვალებით ერთ კვირას ედგა სული და მერმე გარდაიცვალა. შვილი სადღაც გაჰქრა. ეს ამბავი ადგილობრივს პოლიციას შეატყობინეს. პოლიცია უკვე მოვიდა, ოქმი შეადგინა და დამნაშავის აღმოჩენას შეუდგნენ, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნიათ.

აქეთ ყანების მუშაობას ხელი მიჰყვეს, მაგრამ მაისმა მუშა ხალხს ხელი ვერ მოუმართა. ცა დღე და ღამე შავის ღრუბლით მოფენილია. სიცივებიც არის მაისში აქეთ, რაც იშვიათი მოვლენაა...

*** სდ. მუხიანი. 10 მაისს თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ იმათ, რომელნიც რიონის საწყალე ოლქში წყლით სარგებლობენ. კრებამ მირაბად აირჩია ვ. ლ. ქორქაშვილი, კანდიდატად გ. დ. მეძმარიაშვილი, საბჭოს წევრებად ლ. ნ. ასათიანი, თავ. დ. ო. ნიჟარაძე, მ. ა. ანანოვი და კანდიდატებად—ს. ნ. ავალიანი, ა. ზ. სვანაძე და პ. ა. მესხი. კრება ზოგიერთებმა უკანონოდ იცნო და, ამბობენ, რომ საჩივარი იქმნა უკვე გაგზავნილი სადაც ჯერ არსო. სხვათა შორის, ამბობენ, რომ 769 კაცსა აქვს კრებაზედ დასწრების უფლება, ხოლო დაესწრო 77 კაცი და ამათგანაც 44 არ მიიღო მონაწილეობა კენჭის ყრაშიო, მაშინ როდესაც კანონით $^1/_4$ მაინც უნდა დასწრებოდა კრებასაო.

## წერილი თელავიდგან

მაისის 14 სა

მთელი კახეთი იმის ფაცი-ფუცშია, რომ რაიმე სახით უწამლოს თავისს მარჩენალ ვენახს. ამისთანა საერთო შეწუხების დროს, როცა ცხოვრების ტალღები საკმაოდ ამღვრეულია, ყველა მებადური თვალებ-დაჭყეტილია: ანკესი მოქმედებაში მოჰყავს, საგდები ბადეცა, მოსასმელი ბადეცა, გოდორ-ყურიც და სხვა, რაცკი ღონისძიება გააჩნია, სცდილობს დაიჭიროს ცხოვრების ამღვრეულ ტალღებში დიდი და პატარა თევზი- ეს მეთევზურნი იმათ არა ჰგვანან, რომელნიც დაჭერილ მოზარდ თევზს წყალსვე უბრუნებენ, არა, ესენი არც ერთ ჭიჭყინას არ დააგდებენ გამოუწვლავსა და შთაუნთქავს. დიახ, ჩვენის ცხოვრების ტალღები ამღვრეულია და არ ვიცი, ამდენსმეთევზურთ გადარჩებათღა რამე თუ არა. დატრიალდა მოწამლებელი ვენახისა წილზედ: ზოგგან ნასამედზედ და ზოგგან ნათხალზედაც სწამლობს. გეგონებათ, გლეხი შეუსმენებლობით აძლევს სანახევროდ, მაგრამ მოსტყუვდებით. პატრონს კარგად ესმის თვისი ზარალი, როცა იგი წილში იყენებს თავისის ვენახის ექიმსა, მაგრამ სხვა ღონე არ აქვს, იგი ცალკე უქონლობით არის დაჩაგრული და ცალკე უვიცობით. უკანასკნელი არ აძლევს ნებას რამდენადმე გაითვალისწინოს წამლობის ხარჯი და მისი რიგზედ მოხმარება. ამასთან წილზედ მწამლველნი რაც შეიძლება აზვიადებენ საქმეს. ამათვე ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ თელავში აქვს შაბიამნისა, გოგირდისა და მანქანების საწყობი „უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის ამხანაგობას, რომელიც ვაჭრობს სააფთიაქო საგნებითაო. ამ საწყობში გასასყიდ წამალს უფრო ენდობა ხალხი და ამიტომ ამას მოაწყდა ყველა. მაგრამ საწყობმა მოთხოვნილება ნახევარზედაც ვერ დააკმაყოფილა. მალმალე ელევა წამალი. ხალხს ეუბნებიან, დღეს მოგვივა, ფურგუნები, ურმები გამოსულია, გომბორზედ უნახავთ, საცაა ჩამოვლენო და სხვ. მსურველნი იძულებულნი არიან რამდენსამე დღეს თელავში დარჩნენ. იმ დღეს ყვარელებს (40 ვერსზეა თელავიდგან) ხუთი დღე მოუხდათ დარჩენა. კალაურელებს, შაშიანელებს და სხვ. აქ კაცი ჰყავდათ, რომელსაც უნდა ეცნობებინა, როცა საწყობს წამალი მოუვიდოდა. ეს მოცდენა რომ ზედ ვიანგარიშოთ, სოფლელებს ერთის მხრივ ძვირად უჯდებათ ნასყიდი წამალი და მეორეს მხრივ აშინებთ, ისევ რჩეობენ ეს წვალება, ე. ი. წამლისათვის თელავს სიარული, ისევ წილზედ მწამლებლეს მოახვიონ. ეს საწყობი თვისის წეს-წყობილებით თავისდა უნებურად ხელს უცარავს სოფლელ მევენახეს და ხელს უწყობს ყველა ჩარჩსა და მატყუარას. ვგონებ, ხსენებული ამხანაგობა იქამდის დარბაისელია, რომ თვისის საწყობის საქმის ასე არევ-დარევა არ შეეფერება თვით ამხანაგობის ღირსებას. რაკი საწყობს ჰმართავს, რაკი თვისის აგენტის პირით ხალხს აჯერებს, რომ წამალი და მანქანები საკმარისი და თავისს დროზე ექმნება, ვგონებთ, საჭიროა, რომ ეს თვისი აღთქმა შეასრულოს კიდეც. თუ არ ეს საწყობი, უეჭველად სხვა გაიმართებოდა, ან სხვა ნაირად მოვუვლიდით ჩვენს თავსა. დღეს, 14 ს მაისს, აგერ მესამე დღეა ხალხი დღე ღამეს თელავში ათევს წამლისა და მანქანების ლოდინში. ეს მესამედ გახლავთ ხალხის გათახსირება.

წინად ბეჯითად ამბობდნენ, რომ ხსენებული ამხანაგობა შაბიამანს ჩვიდმეტ აბაზად (3 მ. 40 კ.) გაჰყიდისო, მაგრამ, არ ვიცით რისთვის, აბაზ წამატებული იყიდება, ე. ი. 3 მ. 60 კ. დარწმუნებულია ხალხი, რომ ამხანაგობის აგენტი, ანუ კომისიონერი ბ-ნი ბუდაღ იაგორის ძე ტერ-სარქისოვი არ წაუმატებდა აბაზს თავისის მხრივ. ამას იგი არ იზამდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით საკმარისად შეძლებულია და ასე უსამართლოდ აღებულ აბაზს არ იკისრებდაო, მეორე იმიტომ, რომ ამ წამატებულის აბაზიდგან იმას არა ერგებარაო, რადგანაც მისი სარგებლობა საკომისიო %-ზეა დამოკიდებულიო, და, მესამე იმიტომ, რომ თვით კახელია, იცის ხალხის გიჭირვება და შემწეობის მაგიერ მაგ საქციელს როგორ ჩაიდენდაო. მაგრამ არიან იმისთანა მისივე მოძმენი, რომელთაც შინაურ ნაგავისთვის ვერ გაუძლიათ და კარში გამოტანას სცდილობენ. ესენი იმ აზრისანი არიან, რომ ნამდვილად ამხანაგობას უნდოდა შაბიამანი 3 მ. 40 კაპ. გაეყიდვინებინა საწყობში, მაგრამ ბაზარმა არ იყაბულა, რადგანაც ბაზარს იმავე ამხანაგობისაგან ნასყიდი შაბიამანი თელავში თვით უზის 3 მ. 40 კაპ. და საწყობში რომ ამ ფასად გაეყიდნათ, ბაზარიც იძულებული იქმნებოდა თავნზედ გაეყიდნა შაბიამანი. ვითომ ბაზარი და ბ-ნი ტერ-სარქისოვი მორიგდნენ გაეყიდნათ 3 მ. 60 კ. მე არ ვიცი, აქ ვინ მართალია და ვინა სტყუის და, რასაკვირველია, თვით კავკასიის ამხანაგობას-კი კარგად ეცოდინება ყველა ეს. იქნება თვით აგვიხსნას და სიმართლე გამოამჟღავნოს.

ხალხი ბ-ნ გუბერნატორის განკარგულების განხორციელებას მანანასავით მოელის მოუთმენლად, რაკი თვით საქმის გარემოება არ ათმენინებს. ვნახოთ, რამდენად ჩქარა გაუმართლდება ხალხს მოლოდინი.

ნადიკვრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ახრისი**, (გორის მაზრა). ახრისში ერთი მკითხავია, აქაურისავე გლეხის ცოლი, და ისე ყოჩაღად წაიყვანა საქმე, ისე მარჯვედ ამბობს ტყუილსა და მართალს, რომ თუ დღემდე კაპეიკი ენატრებოდა, დღეს ორმოც-სამოც თუმნებს ელაპარაკება. საიდგან?—სულ გაჭირვებულ ხალხის აბაზებისგან. სამი-ოთხი წელიწადია, რაც მკითხაობს და სულ დაახუნა ზერტელი მკითხავიც, ხელთუბნელიც და ახალსოფლელიც. იმდენი მუშტარი ახვევია მუდამ, რომ ზოგმა უნდა ორი და სამი დღე უცადოს, რომ ჯერი ერგოს. ნეტა ჩვენს ექიმებს მოელანდებათ კი სიზმარში ამდენი მუშტარი? მკითხაობს მხოლოდ ორშაბათსა, სამშაბათსა და ხუთშაბათს, დანარჩენ დღეებში ხალხს ითხოვს. ვისაც კითხვინება უნდა, წინა დღითვე უნდა მოვიდეს და ნიშანი მოიტანოს. იმ ღამეს იქ უნდა იყოს და მეორე დღეს უკითხავს. მოხდება, რომ რაკი ერთს დღეს არ ერგებათ, შორიდგან მოსულები ხუთშაბათიდგან ორშაბათამდე იქა ჰყრიან. სანამდე რა ღმერთი გაუწყრება მკითხავსაც, რომ ვერ გაიგოს მოსულის ვინაობა, ავი და კარგი. რომ მიხვალ საკითხვინებლად, აგხედ-დაგხედავს, თუ საეჭვოდ დაგინახა, გეტყვის, არა, შვილო, (თვითონ ახალგაზდა ქალია) შენ სამკითხაო არა გჭირს-რაო. იქნება შეუგურთხოს კიდეც. უნდა ვთქვათ, რომ ძალიან ამაყად ექცევა ხალხს და იაფად ილანძღება. რასა იქ, როცა მისდიხარ და იმისი თავი გჭირს, რა მეტი ღონეა, უნდა ლანძღვაც აიტანო. მართლაც, რა ჰქმნას საწყალმა გაჭირვებულმა გლეხ-კაცმა. ავადმყოფისთვის ექიმი ვერ მოუყვანია სიძვირისა და სიშორის გამო, რაც წამლები იცის თითონ, სცდის და როცა ისიც არაფერს შველის, უნდა მიჰმართოს ვისმე, თუ არა? იხედება აქეთ-იქით, აცეცებს თვალებს, ეძებს მშველს და მკითხავის მეტს ვერავისა ჰხედავს. მკითხავიც ძალიან ძვირად არ უჯდება: ერთი აბაზი ფული, ერთი ჩარექა ღვინო, წყვილი სანთელი და ორიოდე პური. ახლა რა იმედი ეძლევა ავადმყოფს, როცა მკითხავი ხატის მიზეზს გამოუყვანს! ავადმყოფიცა და პატრონიც ორივენი იმედიანად არიან, აღარც ერთს ეშინიან სიკვდილისა და აღარც მეორეს. რადგან ხალხს სწამს, რომ თუ „მიზეზით“ არის კაცი ავად, არ მოკვდებაო. საწყალს კაცსაც მეტი არა უნდა რა, ოღონდ ავადმყოფი გაუსხდეს კარგად. ვითომ ძალით მოვსპოთ მკითხაობა?—მე კი არა მგონია, სანამ თვით ჩვენი ხალხის მდგომარეობა არ შეიცვლება, სანამ ექიმები თვითონ არ დაუწყებენ ავადმყოფებს ძებნას, იმ დრომდე ჩვენში მკითხავები იქნებიან და გასავალიც ექნებათ.

მეზობელი

## წლიური კრება ქართველ ქალთა ამხანაგობის წევრთა.

შაბათს, 16 მაისს, საღამოს 8 საათზედ, ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში შესდგა წლიური კრება ამხანაგობის წევრთა. კრებას დაესწრო 28 წევრი და კანონიერად იყო მიჩნეული, რადგან დანიშნული იყო ნაცვლად 9 მაისის კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა მოუსვლელობის გამო.

კრება გახსნა საპატიო თავმჯდომარემ ამხანაგობისამ კნეინა ო. თ. ჭავჭავაძისამ და სთხოვა ამოერჩიათ თავმჯდომარე. თავმჯდომარედ ერთხმივ არჩეულ იქმნა ეკ. რ. გაბაშვილისა.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას გარდაცვალება ამხანაგობის ნამდვილის წევრის ალ. ს. როინაშვილისა, რომელიც დიდ მონაწილეობას იღებდა ამხანაგობის საქმეებში, და სთხოვა გარდაცვალებულის პატივის საცემად ფეხზედ წამომდგარიყვნენ, რაიცა აღსრულებულ იქმნა ყველასაგან.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით განუმარტა კრებას საგანი სამკერვალო სკოლის დაარსებისა ქალთა ამხანაგობისაგან და რადგან სამკერვალო ვერ ასდის სკოლის ხარჯს, წინადადება მისცა კრებას—გამოეგონა რაიმე საშუალებანი ამ სასარგებლო დაწესებულებათა წარმოებისათვის. კრებამ დაადგინა,—შეიძინოს საპატიო წევრები, რომელნიც იკისრებენ ყოველ თვიურათ გარდასახდის შეტანას ამხანაგობის კასსაში.

ხაზინადარმა ნ. მ. მაჭავარიანისამ მოახსენა კრებას სარევიზიო კომისიისაგან შემოწმებული წლიური ანგარიში ამხანაგობის შემოსავალ-გასავლისა, რომლიდგანაც სჩანს, რომ სამკერვალო-სკოლას ცოტა რამ ზარალი ჰქონია.

ამ გარემოებამ გამოიწვია ბაასი ხარჯის შემცირების შესახებ. გამოკვლევა იმისი, თუ რა ხარჯი უნდა შემცირდეს და როგორ, კრებამ მიანდო გამგეობას.

კრებამ დაადგინა: 1) სამკერვალოსთან ერთად გახსნას პატარა სავაჭრო განყოფილება ყოველგვარ წვრილმანი მასალისა; 2) იქონიოს გასასყიდად ჩვენის ქვეყნის სხვა-და სხვა კუთხიდგან საკომისიოდ მიღებული ქსოვილები და სხვა გვარი ხელ-საქმე; 3) სამკერვალოში გამართულ იქმნას სარეცხის-საკერი განყოფილება და 4) გამართულ იქმნას ძველებური ქართული ხელ საქმის განყოფილება.

დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობის წევრებად, იმ წევრთა ნაცვლად, რომელნიც რიგით ანებებდნენ თავს, — ქ-ნები ე. რ. ალექსი-მესხიშვილისა, ა. კ. გედევანიშვილისა, ე. თ. ასათიანისა და კნეინა ვაჩნაძისა.

## სასამართლოს მატიანე

მასწავლებლის აზნ. დიმიტრი დუმბაძის საქმე

(შემდეგი *)

მოწმე მამალაძე. (მასწავლებელია) დუმბაძეს ძალიან სწყინდა სახელოსნო განყოფილების გაუქმება. ეს განყოფილება თვით დააარსა, თავისის მეცადინეობით და შრომით დააყენა ფეხზედ; ამიტომ ბევრსა სცდილობდა, რომ იგი არ გაუქმებულიყო. შმაკოვის ქალის შესახებ ცუდი დუმბაძესაგან არაფერი გამიგონია; არასოდეს არ უთქვამს, რომ შმაკოვისა უვარგისი მასწავლებელიაო. დუმბაძე ფიცხი, ბრაზიანი კაცია.

ცისკარაშვილი. (მასწავლებელია) დუმბაძემ შემომჩივლა, რომ ცილსა მწამებენ და სრულიად უსაფუძვლოდ საეროვნო ტენდენციებს მაბრალებენ. მართლაცა და დუმბაძეს ამაში ტყუილად სდებდნენ ბრალს: ის ვიწრო ეროვნულის კი არა პედაგოგიურის თვალით უყურებდა საქმეს, მას მარტო პედაგოგიური მხარე აინტერესებდ. დუმბაძე ბევრს მუშაობდა, სასწავლებელი და ბავშვები ძალიან უყვარდა და გულით ეკიდებოდა საქმეს. მე გადმომცა, რომ შმაკოვის ქალის შერთვას ვაპირებო; გადმომცა აგრეთვე, რომ ბოგდანოვი მდევნისო, იმან ჯაშუშები შემომჩინა და თვით ჩემი დანიშნულიც ჯაშუშად გახადაო.

ბენაშვილი. (მასწავლებელია) დუმბაძეს მე დიდი ხანია ვიცნობ. ორი კვირის წინად, ვიდრე ეს საქმე მოხდებოდა, დუმბაძე ტფილისში ვნახე. გამიკვირდა, რომ შევხედე: საშინლად გამოცვლილიყო, გამხდარიყო, და დაღონებული და დაფიქრებული დადიოდა. დუმბაძემ მთხოვა ადგილები გავცვალოთ, რადგანაც მინდა ყვარელს თავი გავანებოო.

ყველა მოწმეების გამოკითხვის შემდეგ შმაკოვის ქალს ერთხელ კიდევ გამოჰკითხეს, რომელმაც, სხვათა შორის განაცხადა, რომ ქართული ენა ძალიან ცუდათ ვიციო.

როდესაც მკურნალები დაეკითხნენ დუმბაძეს, ამ უკანასკნელმა შემდეგი განაცხადა: სახელოსნო დავაარსე, მოვაწყე, როგორც-კი შემეძლო, არაფერი დამიზოგავს, მაგრამ ბოგდანოვი გადამეკიდა და იმდენი ეცადა, რომ სახელოსნო გააუქმა. ბოგდანოვმა ჯაშუშები შემომჩინა, შმაკოვის ქალიც თვის იარაღად გაიხადა. ბოგდანოვს თვისი ჯაშუში საპატიმროშიაც-კი ჰყავდა: იმის შთაგონებით პატიმარი დიმანი მოსვენებას არ მაძლევდაო.

მკურნალებმა პავლოვსკიმ და ბაბაევმა განაცხადეს, რომ დუმბაძემ შმაკოვის ქალის მოკვლა პირველ შეშლილობის დროს განიზრახაო. პავლოვსკიმ განმარტა, რომ დუმბაძეს ნამდვილად სდევნიდნენ და ამის გამო შეიშალა ჭკუიდგან. თავის მტერს ბოგდანოვს ჭკუიდგან შეშლის შემდეგ ყველგანა ხედავდა. სულით ავადმყოფობა დუმბაძესი იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს დღესაც, რომ თვისს ნამდვილ მტერს ის სხვა მტრებსაც უკავშირებს, ისეთ მტრებს, რომელნიც სრულიად ბოგდანოვის დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ყველა ამ მტერს აერთებს ის თავის უმთავრეს მტერს ბოგდანოვთან. პირველ შეშლილობის დროს კაცი ლოღიკას არ ჰკარგავს, ასე რომ დუმბაძეს გონიერება და ლოღიკური მსჯელობა იმას არ ამტკიცებს, რომ ის სულიერად ავადმყოფი არ არის.

შემდეგ წაკითხულ იქმნა იმ მოწმების ჩვენება, რომელნიც საქმის გარჩევას არ დაესწრნენ, სახელდობრ, საერო სკოლების ინსპექტორის პავლოვისა და თავადის ქალის ჰავჰავაძისა. პავლოვი აქებს დუმბაძეს და ამბობს, რომ ის კარგი კაცი და მასწავლებელი იყოვო, ხოლო თავ. ქალი ჰავჰავაძე ამოწმებს, რომ დუმბაძეს ძალიან უყვარდა შმაკოვის ქალი და იმისგანაც სარგებლობდა სიყვარულითაო. სალამოზედ, ჩერკასოვის სახლში, მართლაც გამომიცხადა, რომ ვაპირებ ცოლის შერთვასაო და როდესაცა ვკითხე, ვის ირთავ-მეთქი, თვალით შმაკოვის ქალი მანიშნა. ქალმაც დაამოწმა. მეორე დღეს დედასთვის უთქვა, რომ მართალია ვაპირებდი ცოლის შერთვას, მაგრამ ეხლა აღარ ვაპირებ, რადგანაც შმაკოვის ქალმა უდროოდ გაამჟღავნა ეს საიდუმლოო, მაგრამ უკანასკნელად მაინც ეს საქმე ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტიაო. დუმბაძესაგან შმაკოვის ქალის შესახებ ცუდი არაფერი გამიგონია.

ბრალმდებლის ამხანაგი ა. გ. რაბინი. მე თანახმა არა ვარ მკურნალებისა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ დუმბაძემ შეშლილობის დროს განიზრახა შმაკოვის ქალის მოკვლაო. დუმბაძე სრულ ჭკუაზედ იყო და გონივრულად მოქმედებდა. მკურნალმა ორბელიმ, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში თვალ-ყურს ადევნებდა დუმბაძეს, არ იცოდა ამ საქმის გარემოება, ამიტომ არ შეეძლო მას გაეგო რა მიზეზისა გამო ჰგონია დუმბაძეს, რომ ბოგდანოვი და იმის აგენტები სდევნიან და აქვს თუ არა რამე საფუძველი, რომ ეს ასე ეგონოს. დუმბაძე გონივრულად ლაპარაკობს, ყველა მის მოქმედებას აზროვნება ეტყობა, იმან ძალიან კარგად გამოიანგარიშა, რომ დაპატიმრებული 19 თვე იყო. დუმბაძეს მართლაც ჰყავდა მტრები, რომელნიც სდევნიდნენ მას, მაგრამ საკვირველი იმაში არაფერია, რომ მან იცოდა ეს ამბავი. დუმბაძე მოქმედებდა როგორც ჭკვათა მყოფელი კაცი, ამიტომ დანაშაულობისათვის პასუხის გებაში უნდა იქმნეს მიცემული. მიუხედავად ამისა დუმბაძეს შმაკოვის ქალის მოკვლა წინადვე არა ჰქონდა განზრახული, იმან ეს საქმე გაბრაზებულმა და აღელვებულმა ჩაიდინა, რაიცა თვით შმაკოვის ქალის საქციელმა გამოიწვია.

სამოქალაქო მომჩივარი ნაფიც ვექილის თანაშემწე გ. ს. ზავრიევი. რადგანაც მკურნალებმა სცნეს, რომ დუმბაძემ დანაშაულობა სულიერად ავადმყოფობის დროს ჩაიდინა, ამიტომ ფულის დავაზედ უარს ვაცხადებ.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № . 101

## დამაკვირდი

ნუ მოიტაცებ ნაწილსა სხვასასა და გმა გეყავნ სახმარი თვისი, რამეთუ ნამეტნავი იგი უკეთურებისაგან არს.

ილარიონ ქართველი

***

რომლისაგანცა ვინ ძლეულ არს, მისდაცა დამონებულ არს.

წმ. დავით აღმაშენებელი

***

თაფლსა სჭამს, ხოლო სიტკბოებასა სასა ვერ სცნობს.

გ. მ. ცხ. აღწერელი

## ქალი თუ ვაჟი?

(პროფ. შენკის თეორია)

ვენელმა პროფესსორმა შენკმა გამოაქვეყნა ამ დღეებში თავისი თხზულება, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა მთელის ევროპის განათლებული საზოგადოება. რამდენიმე თვე იქნება, რაც გაზეთებში გაისმა ხმა, რომ პროფ. შენკმა გამოიგონა იმ გვარი საშუალება, რომლითაც ადამიანს, მას სურვილისამებრ, შეუძლიან ეყოლოს ქალი ან ვაჟი. ამიტომ საკვირველი არ არის ის აღელვება და სიხარული, რომელიც მთელს საზოგადოებას დაეტყო ამ ხმის გაგონებისათანავე.

ეს იმ გვარი საგანია, რომელიც დასაბამიდგანვე აფიქრებდა ადამიანს; ყოველთვის სცდილობდნენ გაეგოთ მიზეზი ამ მოვლენისა. ამიტომ სხვა-და-სხვა დროს სხვა და სხვა გვარი ახსნა იყო ხოლმე. პირველი, ვითომ, მეცნიერული ახსნა ეკუთვნის ჰიპოკრატს, რომელიც ქრისტეს შობის წინად სცხოვრობდა. ჰიპოკრატის შემდეგ კიდევ ბევრს ვისმეს წარმოუთქვამს ამ საგნის შესახებ თავისი აზრი, მაგრამ ყოველთვის ცრუ მოსაზრება გამომდგარა.

ის თხუზულება, რომელშიაც ახლა პროფ. შენკი ჰხსნის თავის თეორიას ამ საგნის შესახებ, დაფუძნებულია ფიზიოლოგიურ მოსაზრებაზედ.

შენკი იმ აზრისა არის, რომ უპირველესი უურადღება უნდა მიექცეს დედის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას; თუ რომ ორსულობის პირველ ხანებში დედის სხეული ფიზიკურად მძლავრია, კარგად იკვებება, მაშასადამე, სისხლის მოძრაობა და მისი რაოდენობა საკმარისია, შენკის აზრით, ვაჟი გაჩნდება; ხოლო იმ შემთხვევაში-კი, როდესაც დედის ორგანიზმი სუსტია და უძლური — ქალი იქნება. მაშასადამე, მამრობითი სქესი თხოულობს, რომ დედა მაგარის აგებულებისა იყოს, ხოლო მდედრობითი სქესი-კი უფრო სუსტს სხეულში ჩნდება. ამიტომ ვისაც ჰსურს, რომ ვაჟი ეყოლოს, უნდა განსაკუთრებით ხორცეულის საჭმელით იკვებებოდეს, რაც შეიძლება ნაკლებად იხმაროს მცენარეულობა საჭმელში; ერთის სიტყვით, ნოყიერის საჭმელით გაამაგროს სხეული ორსულობის ხანისთვის. მართლაც, შენკს მოჰყავს ერთი შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს ამ აზრს: ერთმა ოც-და-სამის წლის ქალმა შესჩივლა შენკს, რომ სულ ქალები მეძლევაო, გთხოვთ, რომ ახლა ერთი ვაჟიც მომეცესო. შენკმა ურჩია, რომ მხოლოდ ხორცეულის საჭმელით ეკვებნა თავი, სხვა-და სხვა გვარი მცენარეულობა გამოეკლო საჭმლიდგან. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ ქალს ვაჟი ეყოლა. ხორცი, კვერცხი, რძე და ერბო საუკეთესო სხეულის გასამაგრებელი მასალა ყოფილა, შენკის აზრით. და თუ ამ გვარ ფარეზობას მისდიეს ქალებმა, ყველას ვაჟები ეყოლებათ და, საშიში როდ, ერთის დროს გასათხოვარ ქალთა რიცხვი შესამჩნევად იკლებს. რასაკვირველია, მაშინ ერთი ქალიც აღარ დარჩება გაუთხოვარი. ჩემის აზრით, გასათხოვარმა ქალებმა ადრესი უნდა მიართვან შენკს.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერებაში შენკის თეორიას გულცივად დახვდნენ. ეგონათ, რომ მეტი მეცნიერული საბუთები ექნებოდა მოყვანილი; ხოლო ის საბუთები, რომლებიც მას მოჰყავს, ყველას ვერ დააკმაყოფილებს.

ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

ექიმი ბადრიძე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 მაისი

**პეტერბურგი.** 16 მაისს პეტერბურგში ჩამოვიდა ბუხარის ემირი. რკინის გზის სადგურზედ ემირს მიეგებნენ: თურქესტანის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი გენერალი ვრევსკი, მთავარ შტაბის აზიის ნაწილის უფროსი, გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და მრავალი სხვა. სადგურიდგან ემირი საზამთრო სასახლეში წავიდა.

**ვაშინგტონი.** აქ ხალხი ძალიან დაღონა იმ ამბავმა, რომ შლეი იმ დროს ვერ მივიდა სანტ-იაგოში, რა დროსაც უნდა მოსულიყო ზღვათა დეპარტამენტის აზრით. იმის მაგივრად, რომ წარსულ კვირას მისულიყო, ის მხოლოდ სამშაბათს გამოვიდა სიენფუეგოსიდგანაო. თუ საზღვაო დეპარტამენტმა 24 საათის განმავლობაში ოფიციალური ცნობა არ მიიღო ამერიკისა და ესპანიის ესკადრების შესახებ, მაშინ საქმეთა ვითარების შესატყობად გაგზავნილ იქმნებიან განსაკუთრებული გემები.

**კინგსტონი.** ხმა დადის, რომ ამერიკის ფლოტი დაამარცხა ესპანიის ფლოტმა სანტ იაგო-დე-კუბას მახლობლად და ადმირალი სამპსონიც მოკლულ იქმნაო. ამ ამბავს დამტკიცება ესაჭიროება.

**ჰავანნა.** სერვერის ესკადრა სანტ-იაგოშია. სამპსონის ესკადრის უმთავრესმა გემებმა ალყა შემოარტყეს სერვერის ესკადრას. შლეი თვალ-ყურს ადევნებს იუკატანის სრუტეს. ამერიკის გემებმა თავი დაანებეს სიენფუეგოსს, იქ მხოლოდ ოთხი გემი იქმნა დატოვებული.

**მადრიდი.** მანილადგან იტყობინებიან, რომ მეამბოხეთა წინამძღოლმა აგვინალდომ დევესაგან მიიღო თოფ-იარაღი, ორი ზარბაზანი და შემდეგ განაცხადა, რომ ესპანიის დაუჭერ მხარსაო.

**ლონდონი.** ახლად გარდაცვალებულის გლადსტონის გვამი განსვენებულ იქმნა ვესტმინსტერის სააბატსტვოში ქვედა და ზემო პალატის წევრებისა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა, პრინცთა და პრინცესსების თანადასწრებით. უელსის პრინცსა და იორკის გერცოგს სამგლოვიარო ეტლის ფუნჯები ეჭირათ.

**ბერლინი.** პრინცი ჰენრიხი ორის გემით 15 მაისს მივიდა პორტ-არტურში და 16 მაისს ვეი ჰაი-ვეისს წავიდა.

**ნიუ-იორკი.** კინგსტონიდგან (იამაიკა) მოსული დეპეშა იუწყება: „ამერიკის დამხმარებელი გემი „ხარვარდი“ დღეს დილით მოვიდა კინგსტონში სანტ-იაგოდგან, საიდგანაც გუშინ შუადღისას წამოვიდა. იმ წუთს ამერიკის 12 გემი ნავთ-სადგურის მოშორებით იდგა. დარწმუნებით ჰფიქრობენ, რომ ესპანიის ფლოტი ნავთ-სადგურში იქმნებაო.

**ბოსტონი.** გაზეთს „Bost Herald“-ს დეპეშით ატყობინებენ კინგსტონიდგან: „დაბეჯითებული ცნობები მოგვდის, რომ შლეი სანტ-იაგოს არხში შევიდა, სერვერის ფლოტი დაამარცხა და ქალაქს სანტ-იაგოს ყუმბარები დაუშინაო“.

**ვაშინგტონი.** ლონგმა განაცხადა, რომ არავითარი ცნობა არ მოსვლია არც ამერიკისა და არც ესპანიის ესკადრის ყოფა-მდგომარეობის შესახებო.

**ნიუ იორკი.** „Herald“-მა შემდეგი დეპეშა მიიღო კინგსტონიდგან: „ამერიკის გემმა, რომელიც სანტ-იაგოდგან მოვიდა აქ, შეამოწმა ის ამბავი, რომ შლეიმ ალყა შემოარტყა სანტ-იაგოსაო. არავითარი შეტაკება არა ყოფილაო“.

18 მაისი

**რომი.** მინისტრთა საბჭოში მომხდარ უთანხმოებისა გამო, ვისკონტი-ვენოსტამ განაცხადა, რომ სამსახურს თავს ანებებს. სალამოთი რუდინიმ თხოვნა შეიტანა მთელის კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომისა. მეფემ დაავალა რუდინს ახალის კაბინეტის შედგენა.

**ვარშავა.** 13 მაისს, ვარშავის მახლობლად მდინარეში იპოვნეს გვამი პოდპოლკოვნიკის — ეგოტინის ქვრივისა, რომელიც შურის-ძიებით მოუკლავს მისის შვილის დენშიკს სალნიკოვს. გამოძიება სწარმოებს.

**ნიუ-იორკი.** სამპსონის ესკადრა კი-ვესტში დაბრუნდა. შლეის დაევალა კვლავ ალყა შემოარტყას და ყუმბარები დაუშინოს სანტ-იაგოს. ჰფიქრობენ, რომ სამპსონს განზრახვა აქვს ჰავანას დაეცეს.

**მადრიდი.** სანტ-იაგო-დე-კუბასთან მყოფი გემები ამერიკელებისა გაჰქრნენ; სად წავიდნენ არვინ იცის.

ქალაქი სანტო-ტომასი (ფილიპინი) მეამბოხეებმა დასწვეს და დაჰხოცეს ციხის უფროსი, თავისუფლად ჯარში გასულნი, მღვდელი და სხვა ესპანიელები.

**რომი.** ცანდერდელსა და ვისკონტის შორის უთანხმოება მოხდა მწერლობის შესახებ კანონმდებლობისა და სასულიერო წოდების კაცთა დასჯის შესახებ. „Popolo Ronlano“ სწერს, რომ უკანასკნელი საგანი შეეხო სასულიერო პოლიტიკას, და სამინისტროს კარიზისი ამით არის გამოწვეულიო.

Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Мая 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.